


ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოს წევრის

დავით ფარცვანიას

# ანგარიში

**2024**

მოგახსენებთ, რომ ვარ ქ.თბილისის, მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოს დამოუკიდებელი წევრი. ჩემი უფლებამოსილების ცნობა მოხდა 2022 წლის 25 იანვარს. კანონით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, გახლავართ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა, აგრეთვე სარევიზიო კომისიების წევრი.

## იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია

როგორც მოგახსენეთ გახლავართ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი.2023 წლის 20 დეკემბრიდან - 2024 წლის 4 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა 27 კომისიის სხდომა, საიდანაც დავესწარი 24 სხდომას და შევისწავლე 460 საკითხი.

## სარევიზიო კომისია

საანგარიშო პერიოდში სარევიზიო კომისიაზე განხილულ იქნა 31 საკითხი, რომელთაგან მონაწილეობა მივიღე 28 საკითხში.

## საკრებულოს სხდომები

საანგარიში პერიოდში გაიმართა 14 საკრებულოს სხდომა სადაც განხილულ იქნა 113 დადგენილება და 675 განკარგულება.

გარდა კომისიებსა და სხდომაში მონაწილეობისა, როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა წევრმა, საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამის უწყებებს მივმართე შუამდგომლობით მოქალაქეების დასახმარებლად. ზემოაღნიშნული მოიცავდა შესაბამისი მოწყვლადი ჯგუფების მედიკამენტებითა დასხვადასხვა სახით მათ დახმარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე გავმართე შეხვედრამოსახლეობასთან, ასევე სტუდენტებთან, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად, ძირითადი აქცენტი დაისვა თვითმართველი ქალაქების როლის ზრდაზე სახელმწიფოს განვითარების პროცესში